

# ლიტერატურული ხელშეკრუნვა



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება  
№3, 29 ივნისი, ორშაბათი, 2020 წელი

## დედამიწავ, ფრთხილად იყავი!!!

მადლობა, ღმერთო, რომ უთხარ „კმარა!“  
ჩემი არყოფნის უგზო-უაზრო ბრუნვას შავეთში  
და სწორედ ისე მომიმარჯვე მიწის კალთები,  
რომ საქართველოს ველზე დავეშვი...


მადლობა, სულო დედამიწავ,  
მაცხოვრის კვართი რომ შემინახე მოაქუამომდე  
და უსაშველოდ ბედნიერ ხელებს  
ვაზის ლერწების ჯვარი მოანდე.

მადლობა, ღმერთო, ჩემს ამაყ შვილებს  
სახმო სიმებად რომ ჩაუდგი „ჩაკრულოს“ ხმები,  
ღვინობისთვეთა სისხლისფერული  
ტკბილ საბარძიმე მაჭრით რომ ვთვრები.

მადლობელი ვარ, რომ თავსასთუმლად  
მერგო უწმინდეს ღვთისმშობლის კალთა,  
რომ მიწის ღერძის გრძელ თითისტარზე  
ქულა ღრუბლების ფარტენებს ვართავ...

როგორ ტრიალებ, დედამიწავ, თავგამეტებით,  
ღმერთს ვთხოვ, არასდროს არ გაგიავდრდეს!  
მაგრამ, კეთილო, ფრთხილად იყავი,  
ჩემი ქვეყანა ხელებიდან არ გაგივარდეს!

ელდინო სალარაძე





## ხ ს ო გ ნ ა

**„ნელი ტანგო“**  
(გურამ მათიაშვილის გახსენება)

შენი პატარა წიგნი მუსიკით იწყება, გურამ...

ჯერ მელანდაუნვეთავ, თეთრ ფურცელზე, კაუჭა კითხვის  
ნიშნებით სავსე ნოტებს არ დაუწყიათ ცეკვა...

ფარდებს მიღმა სევდიანი და მხიარული ნიღბები ენაცვლება  
ერთმანეთს წუთისოფლის სცენაზე. ნეტავ, რის თქმას აპირებდი?

„ნელი ტანგოა ეს ცხოვრება, გურამ!“ – ერთხელ უთხრეს გურამ  
რჩეულიშვილს... შენც რჩეული შვილი ხარ...

ძალიან ადრე ხომ არ იყო სამყაროს ამოუცნობ სიღრმეებთან შებმა?  
მოუმზადებელი შეხვდი ცხოვრების მღვრიე ტალღებთან ბრძოლას.  
გახსოვს? – ვისაუბრეთ ხელოვნების უკიდეგანო საზღვრებზე, იმ  
სიხარულზე, ადამიანისთვის რომ მოაქვს, იმავდროულად – იმ  
პატარა შიშვეც, თან რომ ახლავს შემოქმედის წინაშე თავნებობას.

ნეტავ მას, ვისაც ანებივრებს და შეიყვარებს ღმერთი თავისი  
დიდი სიყვარულით. ვაი მას, ვინც ვერ მიაღწევს უფლის უკიდეგანო,  
მოსიყვარულე გულამდე და ეშმას მსხვერპლი გახდება.

შენს ყოველ ნახატში, არაორდინალურ ხედვაში, ყველგან გოგონას  
ნისლოვან სილუეტს ვვრძნობ. დიახ, ლამაზი სიყვარული კვებავს  
მუდამ შემოქმედის მრავალფეროვან პალიტრას, ქვიშის საათშიც კი  
მღელვარე დროის განუმეორებელი განცდაა და ადამიანის ტვინის  
თითოეულ უჯრედში თითო ამბავია გადმოცემული, პროფილების  
დაუსრულებელ ბედხვეულებში რომ იკარგება და ინთექტება ხმა  
გულისა...



აი, შენი „პალერინა“... ოცნების ლამაზი კუნძული გულივით  
პატარა და მოცუცნულია სამყაროს უსასრულობასთან შედარებით,  
რომელზედაც დამდგარა შენი ოცნების ქალიშვილი და მოგზაურობს  
ციხე-სიმაგრეთა შორის, მაგრამ ეს ნიღაბი რისთვის დაგჭირდა,  
ნეტავ? ეჭვიანობის ნისლეულის დაძლევა თანდათან მძიმე ხდება...

და აპა, იშლება სიყვარულის მშვენიერი ყვავილი ხელისგულზე,  
მაგრამ აქაც, ვიღაცის მზერა აფრთხობს ნათელ ოცნებას, ასე  
მტკიცნეულს, ასე მძიმეს, ასე ეკლიანს. წინასწარხედვის საშიშ  
გრძნობას მინდა, გავექცე...

რად დაებედა ნიჭიერ ხალხს წინასწარხედვა?

ადამიანი ყოველთვის იყო ეჭვიანობის მძიმე ნიღაბი.  
ფართოდგახელილი თვალების მიღმა, მეც, შიშით ვეძებ წმინდას და  
ნათელს, მაგრამ როდესაც გაყოფილია მთელი სამყარო სინათლისა

და სიბნელის მტანჯველ ბრძოლის სიმბოლოდ, ღმერთიც და ეშმაც,  
აქვე, შენში ებრძვიან ერთურთს... რას იზამ, გურამ, ეჭვის ძალას  
ვერ მოსპობ სულში, რაგინდ ეცადო.

ერთ-ერთ სურათში, როგორც ლავა სიყვარულისა, დედამიწის  
გახსნილ გულიდან ამოხეთქილა ადამიანი, მთელი სიმძაფრით.  
უჭირს, რადგანაც არ აქვს საყრდენი... ალბათ, მეორე ნახევრის  
განცდა შემოხვევია მის ტანს ვულკანურ მომწვანო ლავად, მაგრამ  
ისფერ და მოცისფრო სივრცის ტალღები იმედის რწმენად ეფინება  
გატანჯულ სხეულს.

, „სამოთხის ვაშლი“ – მზესავით გამოანათა საბრალო ევამ და მე  
სიყვარულის გაფურჩქვნილი ყვავილი ვიგრძენ.

ლირდა სიცოცხლედ მწუხრის სიმღერა მეოცნებე მზეჭაბუკისა.

სამოთხის ვაშლი მაცდურ ეშმას სულში ანთია, ვითარცა რწმენა  
მარადიული შეცოდებისა.

და ბედისწერაც...

ამოუცნობი, როგორც უფლის მრისხანე დასკვნა, – გათვლილი  
წუთში, წუთის წუთში და წამის წამში... დრო დანიშნული...

წინასწარგრძნობა, ამოვარდნილი დედამიწის ჭაპანწყვეტიდან...


და სარკოფაგიც...

წუთისოფლის მინიერი, ბოლო სადგური...

მერე კი... მერე თავბრუდამხვევი სრბოლა მზისაკენ და საკუთარი  
სხეულიდან გასვლის ტკივილი...

ბოლოს – სიამე, ამოსუნთქვის ტკბილი ზმანება, მტანჯველ  
შეხვედრის მოლოდიში ხეთქვა გულისა...

**მზია მაღალდაძე**





# 3 ო გ ზ ი ა



რაფელ ელიაშვილი

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხაშურის საზოგადოებას კარგად ახსოვს ჩვენი თანაქალაქელი, დრამატურგი – **რაგული ვლასიძე** და მის მიერ ორგანიზებული კულტურული ღონისძიებანი, მათ შორის თოჯინების თეატრის მშვენიერი წარმოდგენები.

რამდენიმე ათეული წელია, იგი უკრაინაში ცხოვრობს, სადაც არაერთი საინტერესო პროექტისა და იდეის ავტორი გახლავთ. გთავაზობთ რაგული ვლასიძის ლექსებს.

\*\*\*

სულო ქარისა, ჩუმად ტოკავ, ჩუმად აშლილხარ,  
მაგრამ დასიცხულ გულის კართან აღარ ჩერდები,  
როგორც მეგობარს, ნუ დამინდობ, ნურც მიღალატებ,  
შემეხმიანე, მეც, შენსავით, ჩუმად ვბერდები...  
შემეხმიანე ქარის სულო, შემეხმიანე,  
მე ხომ არა გთხოვ დანგრეული საყდრის საფასურს,  
ჯერ კიდევ ვგულობ გულგრილობით გაცვეთილ იმედს,  
სამძიმრით ნუ მღლი, მომაკვდავიც არ ვცნობ აღსასრულს.

**ალუბლის ლამე**

ქალის თმაში დამიღამდა, მახსოვს,  
მახსოვს, სხეულს რომ მოედო ალი,  
ცოდვიანი სიამისთვის იდგა  
ჩემი სატრფო – ჩემი ალუბალი.  
როგორც მხეცი, შევყმუოდი მთვარეს,  
სიმორცხვისგან ალმოდებულ ხიდან,  
ცეცხლთან სურდა ზიარება კენტავრს,  
ქალღმერთს ფეხზე შავ წინდებს რომ ხდიდა.  
მახსოვს, სული მივაბარე ცოდვებს,  
ხის ტოტებმა ცრემლები რომ ღვარეს,  
ეჭვისაგან ზღვარგადასულს სურდა,  
ხეზე თავი ჩამოეხრჩო მთვარეს.  
დღეს იმ ცეცხლის მყუდროება მათბობს,  
რაც, ოდესლაც, ვით პრომეტეს, მერგო,  
მაგ ღიმილის მიღმა, შენ რას ფიქრობ? –  
დემონების ხელთუქმნელო ნერგო.

**სისხლი და ვარდი**

ვარდები წვანან მწუხარებით ვარსკვლავის მკერდზე,  
თითქოს სამძიმარს უცხადებენ გაყინულ ედემს,  
სწეულ ძაღლივით, ბედს აუკრავს თვალებზე ბინდი  
და მხატვარივით ანადგურებს საკუთარ შედევრს.  
გარდაცვლილ სიზმარს აფთარივით მისდევს ცხოვრება,  
ნალის მაგიერ, ცოდვა დაჰკრავს არაბულ ცხენებს,  
დადგება ჟამი, როს დემონი ალესავს დანას  
და მეფის სისხლით, ნაწვიმარ ვარდს თავს შეახსენებს.

**დროს, პოლიფონიურს**

ქვიშა სფინქსს არ ეხება,  
ქვიშა სფინქსს თვალს არ უხელს,  
დრო, უხილავ წამზომის,  
დღესაც, ძლიერ მაწუხებს...  
და, თუ დროს არ ვეკუთვნი,  
და, თუ დროს არ ვჭირდები,  
უცნაურო ასაკო,  
ნუღარაფერს მპირდები!  
მტანჯავს მოგონებათა,  
ფიქრთა ბასრი პირები,  
არ მასვენებს მძინარეს  
ცხადში დანაპირები.  
უთქმელობამ დამღალა,  
როგორც სფინქსის თვალები,  
დროვ, თუ შენ არ გეკუთვნი,  
გულში რად მეალები?  
თუ კი სფინქსთა სავანეს –  
ქვიშას თელავს აქლემი,  
ვინ რა იცის, იმ სანთლებს  
რამდენი აქვთ სათქმელი...  
ჭექა-ქუხილს გაუძლებ,  
ნერევასა და ქარტეხილს,  
მიუსაფარს ვინ გიცნობს? –  
უპოვარს და გათელილს.  
თუ მხრებს თავი არ მოსდევს,  
არ აქვს სულთან ერთობა,  
აწმყოს რისთვის შესტირი? –  
ის ხომ წარსულს ეყრდნობა.  
ვისთვის ბედი მადლია,  
ვისთვის – ბარგად დაყრილი,  
ვისთვის მეხის წყაროა,  
დასაცემი ადგილი.  
და თუ ცრემლი გაუშრა  
წაპირებზე ტირიფებს,  
სამარესთან გაწოლილს  
ცხედარს, ვინ დაგიტირებს?  
სამარეც რომ გაჩუქონ, –  
მუქთა ცრემლით გაჭრილი,  
მადლსაც ისე მოეპყარ,  
როგორც მზის სხივს აჩრდილი.  
რად დაგინდობს მედროვე? –  
თუ ფერს იცვლის სინათლე,  
როგორც კუბოს ფიცარზე  
დაჭედილი სიმართლე.  
დრო ღამესთან ნებივრობს,  
სულში დარდად სახლდება,  
თითქოს თვალებს გარიდებს  
და ძაღლივით ავდება.  
გაუხედნავ სიცოცხლის  
მიჰქრის მთელი არსება,  
თურმე, რისთვის გივლია  
და ვინ გეალერსება...

**უშენოდ**

გული დარდით აივსო,  
აღარ მიხმობს სალხენად,  
მიტოვებულ ქვევრებთან  
ვდგავარ, როგორც ცალხელა.  
ახლა, სულის გარეშე,  
ქვევრში ვწევარ უღვინოდ...  
რა ფასი აქვს ცხოვრებას  
უშენოდ და ულხინოდ?..

# გ ი ნ ი ა ც უ ჩ ე ბ ა



ლ. შემოქმედება

## ელეგია

სად წაიღეთ  
ტანსაცმელი, ვისაც  
დედა გარდაგეცვალათ?  
იქნებ, მუყაოს დიდ  
ყუთებში ჩაკეცილი,  
სხვენზე შემოდეთ?  
იქნებ მეზობელ  
დედებს დაურიგეთ,  
— გაცვითეთო, —  
გამიხარდება.  
იქნებ, ძველი  
ეკლესის დიდი ეზოს  
ერთ კუთხეში სევდით

დატოვეთ!

სად წაიღეთ ტანისამოსი, ვისაც დედა გარდაგეცვალათ?  
საკიდიდან ჩამოხსნილი, დიდ პარკებში ჩაწყობილი ხომ არ  
გიდევთ დღემდე და გიმძიმთ მისი გატანა სახლიდან, სადაც  
ხშირად ხედავდით ამ კაბებში, წინსაფრებში, კოფთებსა და  
ხალათებში მოფუსფუსე საკუთარ დედას!  
იქნებ, ჯერაც ვერ ჩამოხსნით საკიდიდან?  
როცა გარდერობის კარს გამოაღებთ, ყვავილებიან, თბილ  
შალებს და თხელ თავსაფრებს რომ დაინახავთ, იქნებ დედის  
თვალებად მოგეჩვენოთ!  
იქნებ, უჯრებში, დედის ხელით საგულდაგულოდ ჩაკეცილ  
ღამის პერანგებს, გახამებულ ცხვირსახოცებს ჯერაც ხელი ვერ  
მოჰკიდეთ, ვერ ამოანყვეთ!

სად წაიღეთ ტანისამოსი, ვისაც დედა გარდაგეცვალათ?  
თავად, თქვენვე, ხომ არ ჩაიცვით დედის უაკეტი, დედის  
შილეტი?

როცა სიცივე ძვლებში გაატანს, როცა სუსხი ისე გაგტეხავთ,  
როცა თავს ისე მარტო იგრძნობთ, ისე უმწეოდ და უპატრონოდ,  
იქნებ, ამ დროს შემოიხვევთ დედის ხალათს ისე მჭიდროდ,  
ისე ძალუმად, რომ სითბომ სხეულის შიგნით, გულამდეც კი  
შემოგატანოთ!

თვალებს დახუჭავთ და შეისუნთქავთ თბილ სუნს, ხალათს რომ  
შერჩენია. ჯიბეში ნაპოვნ, ოთხად გაკეცილ, გახამებულ, უჯრებიან,  
ნაცნობ ცხვირსახოცს დედის სუნამოს სუნი ასდის, მქრქალად და  
სუსტად. თვალებს დახუჭავ და, თითქოს, ისეთ ტკბილ ბურანში  
ხარ, ხედავ ოდნავ შებერებულ, შენთვის უძვირფასეს სახეს, ხედავ  
თვალებს, შენთვის უახლოეს თვალებს და, რაღაც უხილავი ისეთ  
მსუყე სურნელს გახვევს, გათბობს, რომ აღარ ხარ არც უმწეო,  
აღარც მარტო!

სად წაიღეთ ტანისამოსი, ვისაც დედა გარდაგეცვალათ?  
თუკი აჩუქებთ, უცნობს აჩუქეთ, რომ ვერ დაინახოთ, რადგან  
მეზობლის ტანზე დედის კაბა გულს მოგიკლავთ, აგანრიალებთ!  
ყოველ გაზაფხულს დედაჩემი გარდაცვლილი მამაჩემის თბილ  
ტანსაცმელს ამზეურებდა, ზოგიერთი გასაცემად ვერ გაიმეტა.  
მზედახედილს, გვიან, კარადაში შეაბრუნებდა, უხმოდ ისმენდა  
ჩემს შენიშვნებს – რაღად გინდა, გააჩუქეო და უხმოდვე  
აბინავებდა!

ვერ ვხვდებოდი, რომ დედა უვლიდა იმ კარადას და ტანსაცმელს  
დედაჩემი ამზეურებდა!

სად წაიღეთ ტანისამოსი, ვისაც დედა გარდაგეცვალათ?!

ამბავი კაცისა, რომელმაც კარანტინის  
მძიმე დღეები გაუთბო და გაულამაზა საკუთარ ქალაქს.  
(ვუძლვნი მურად მთვარელიძეს)

ჩვენი ქალაქი, რომელიც იმერ-ამერის გასაყარზე მდებარეობს,  
დიდი ხანია, მონაცრისფრო, სევდიანია...

თითქოს ჩვენ ყველა ერთ გემში ვსხედვართ და ღრუბლიანში  
მდორედ მიცურავთ სანატრელი სანაპიროსკენ!

უკვე დიდი ხანია, ჩვენს ქალაქში მზიანი დღეც კი უხალისო,  
ნისლიანია.

პირბადის ზემოთ შეშინებული თვალები გვიჩანს, ნირნამხდარი...  
დაბნეული მზერით ვესალმებით და ვერიდებით ერთმანეთს, რადგან  
ახლა კარანტინია!..

კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს თვისი ქალაქი და ანუხებს  
ქალაქელთა უმწეო ყოფა, თითქოსდა, სითბოს, სიყვარულის და  
იმედის საბადოს ხსნის და ისე უხვად ანანილებს, ისე უხვად, რომ  
პირბადიანი ქალაქელების შიშჩამდგარ თვალებს სითბო, ცრემლი,  
მადლიერება ეპარება...

და ვეხუტებით ნაცნობი უცხოს, უცხო – უცხოს, ნაცნობი –  
ნაცნობს...

და ერთად ვართ, ისე ერთად, როგორც არასდროს...

კეთილმა კაცმა, რომელმაც სითბოს, სიყვარულის და იმედის  
საბადო გახსნა, ვირტუალურად გული გაგვითბო, შეგვაგროვა და  
იმედის ცეცხლი დაგვინთო.

ჩვენ კი, კეთილი კაცის თანაქალაქელები, გულსა და ხელს  
ვითბობთ იმედის ცეცხლზე, ვირტუალურად ვეხუტებით უცხო  
უცხოს, ნაცნობი – ნაცნობს და მივდივართ ყველა ერთად სანატრელი  
სანაპიროსკენ...

ასე მგონია, კეთილმა კაცმა მხარზე, კიდევ ერთხელ, დამადო  
ხელი და ნაფთალინის თხელი ფენა შემომაცალა.

ჩვენ ეპოქა ძალზედ მძიმე, პრაგმატულია და, რადგანაც  
საბაზრო ეკონომიკა ღრმად შეიქრა ხელოვნების ყველა სფეროში,  
ძვირად ფასობს კომენტარი სოციალურ ქსელშიც, „ლიმილაკიც”,  
ანდა, თუნდაც, მცირე კრიტიკა.

ძვირად ფასობს, ეს იცის ყველამ, ამიტომ აღარ ველი  
ვირტუალური მეგობრობიდან ლიტერატურულ მცდელობებზე,  
უმეტესად, ნაწყალობებს ძლიერთა ქებას და არც შერისხვას.

კეთილმა კაცმა თითქოს ყველას ხელი ჩაგვიდა...

ის კარგად გვიცნობს ჩვენც და მათაც...

ის უკვე დიდია. მან უკვე ბევრი გამოზარდა.

მან იცის გზა, მცდელობიდან აღმა როგორ მიდიან.

იცის გზა, შეძახილი... თუ ფრთხები გაქვს, მაღლა გიზიდავს.

და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ლიმილაკიც“ კი ძვირად  
ფასობს, ისე, უბრალოდ და უანგაროდ ჩაგვიდა ხელი კეთილმა  
კაცმა...

და მივცურავთ ყველა.

იქ სანატრელი სანაპიროა...

P.S. – ცოტას წერო – მეუბნებიან.

მართალია, ცოტას ვაქვეყნებ.

ისე, კი მინდა, რომ ძალზედ ცოტა ვილაპარაკო, რადგან თურმე,  
სწორედ დუმილია რჩეული ოქრო.

კეთილმა კაცმა თითქოს სითბოს, სიყვარულის და იმედის საბადო  
გახსნა.

ისე ერთად ვართ, როგორც არასდროს...

წინ კი სანატრელი სანაპიროა...